დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

„ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

თბილისი

2026

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშისშეფასებისპრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი - დავით

გვარი - სიხარულიძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ბიზნესის ადმინისტრირება
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე[2]	7
4	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი Master of Business Administration
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
7	სწავლების ენა	ინგლისური
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი[5]	მ. კოსტავას 77ა, თბილისი, IV კორპუსი, 0171, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 07 თებერვლის გადაწყვეტილება №121978
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2025 წლის 24 იანვარი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2026 წლის 24 იანვარი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2032 წლის 24 იანვარი

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება
საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა		X		
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	X			
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	X			
5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები		X		

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდებულია, პროგრამის ფარგლებში გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკების შედგენის და შეფასების პროცესი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი ყოვლისმომცველობა, სიზუსტე და მიზანშეწონილობა;

2. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდეს სწავლება - სწავლის პრაქტიკული მიდგომების გამოყენება, მათ შორის სტაჟირების გამოყენებით;

3. რეკომენდებულია, პროგრამაში და სილაბუსებში სრულყოფილად და ზუსტად იყოს აღწერილი სწავლების მეთოდები და აქტივობები;

4. რეკომენდებულია, პროგრამების განხორციელებისთვის და განვითარებისთვის განსაზღვრული ხარჯები დაიყოს საჭიროებების მიხედვით;

5. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამების განვითარების მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პროგრამების "შემოწმების" და "დახვეწის" ეტაპებს;

6. რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტები, როგორიცაა კითხვარები, სტუდენტებისგან და დამსაქმებლებისგან უფრო დეტალური უკუკავშირის შეგროვების მიზნით პროგრამების ხელმძღვანელობის ასპექტებთან დაკავშირებით;

7. რეკომენდებულია, გადაიხედოს სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა და გათვალისწინებული იყოს საჭირო წინაპირობები;

8. რეკომენდებულია, შევიდეს ცვლილებები რეგულაციებში, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილი იყოს როგორც ინდივიდუალური შეფასების კომპონენტი;

9. რეკომენდებულია სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამაში უზრუნველყოფილ იქნას კვლევის მეთოდების სავალდებულო სწავლა.

---

[6]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

გაცემული იყო 9 რეკომენდაცია აქედან 6 რეკომენდაცია სრულიად გათვალისწინებულია, 3 ნაწილობრივ გათვალისწინებულია.

- რეკომენდაცია ,,რეკომენდებულია, პროგრამაში და სილაბუსებში სრულყოფილად და ზუსტად იყოს აღწერილი სწავლების მეთოდები და აქტივობები" ნაწილობრივ არის გათვალისწინებული.
- რეკომენდაცია ,,რეკომენდებულია, შევიდეს ცვლილებები რეგულაციებში, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილი იყოს როგორც ინდივიდუალური შეფასების კომპონენტი" ნაწილობრივ გათვალისწინებულია.
- რეკომენდაცია ,,რეკომენდებულია, გადაიხედოს სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა და გათვალისწინებული იყოს საჭირო წინაპირობები" ნაწილობრივ გათვალისწინებულია.

რჩევ(ებ)ი[8]

1. სასურველია, პროგრამის მახასიათებლებში ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგების ფორმატის თანმიმდევრული მიდგომა;
2. სასურველია, გაუმჯობესდეს პროგრამის შეფასების მექანიზმი რეალურ დროში უკუკავშირის ციკლების დამატებით და ინდუსტრიის ტენდენციებზე უფრო პროაქტიული ადაპტირებით;
3. სასურველია, გაფართოვდეს პირდაპირი შეფასებები პრაქტიკული გამოყენებით და ინდუსტრიის ჩართულობით, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან სწავლის შედეგების რელევანტურობა და შესაბამისობა;
4. სასურველია, განვითარდეს პროგრამები უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების და ბიზნეს ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფორმების უფრო მკაფიოდ განსაზღვრის თვალსაზრისით;
5. სასურველია, მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება შრომის ბაზრის დამსაქმებლებთან. ასევე, განხორციელდეს შრომის ბაზრის დამსაქმებლებისგან და მოწვეული პერსონალისგან რეკომენდაციების აქტიურად მიღება;
6. სასურველია, გაფართოვდეს პარტნიორობა საერთაშორისო დაწესებულებებთან, ხელი შეეწყოს აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას და ერთობლივი კვლევის შესაძლებლობებს, იმისათვის, რომ ყველა პროგრამა სარგებლობდეს აკადემიური პერსონალის გლობალური სტანდარტების, ინოვაციური სწავლების პრაქტიკის და მათი დისციპლინებისთვის შესაბამისი თანამედროვე ინდუსტრიული ტენდენციებით;
7. სასურველია, რეგულარულად ჩატარდეს ინტერდისციპლინური სამუშაო შეხვედრები და კონფერენციები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებს კლასტერში წარმოდგენილი ყველა პროგრამის აკადემიური პერსონალი, აღნიშნული უზრუნველყოფს ცოდნის გაზიარებას, ხელს შეუწყობს ინტერდისციპლინურ კვლევას და აკადემიურ პერსონალს დაეხმარება სწავლების პროცესში მრავალფეროვანი პერსპექტივების გამოყენებაში;
8. სასურველია, გაძლიერდეს დამსაქმებლებთან თანამშრომლობა.

---

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

აგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

- **რჩევები არ არის გათვალისწინებული**

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I[14]	**რეკომენდებულია, პროგრამის ფარგლებში გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკების შედგენის და შეფასების პროცესი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი ყოვლისმომცველობა, სიზუსტე და მიზანშეწონილობა**
შეფასება	უსდ-ს მიერ შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკის შედგენის სახელმძღვანელო ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლისათვის. დოკუმენტი მოიცავს რუკის შედგენის სტრუქტურირებულ მეთოდოლოგიას — განსაზღვრულია დონეების კრიტერიუმები (Basic/I, Intermediate/R, Advanced/M), შევსების ნაბიჯ-ნაბიჯ პროცედურა და ხარისხის შემოწმების კრიტერიუმები. ასევე გათვალისწინებულია პროგრამის განვითარების საბჭოს (პას) კოლეგიური ჩართულობა, რაც სიზუსტეს

---

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	უწყობს ხელს. განახლების ვადებიც განსაზღვრულია — ყოველწლიური გადახედვა და აკრედიტაციის ციკლებთან მიბმა. გარდა ამისა, უსდ-ს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების ციფრული პლატფორმა. **რეკომენდაცია შესრულებულია.**
რჩევა[15]I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკის შედგენის სახელმძღვანელო ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლისათვის.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები
რეკომენდაცია II[16]	**რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდეს სწავლება - სწავლის პრაქტიკული მიდგომების გამოყენება, მათ შორის სტაჟირების გამოყენებით;**
შეფასება	არჩევითი კურსის სახით პროგრამას დაემატა სასწავლო. შემუშავებულია სასწავლო პრაქტიკის სილაბუსი. სილაბუსი ასახავს კარგად სტრუქტურირებულ პრაქტიკულ კურსს, რომელიც აკავშირებს თეორიულ ცოდნას რეალურ სამუშაო გარემოსთან. სილაბუსის ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: კურსს აქვს მკაფიო ეტაპობრივი სტრუქტურა: დღიური, შუალედური და საბოლოო ანგარიში. ეს უზრუნველყოფს სტუდენტის პროგრესის თანმიმდევრულ მონიტორინგს. შეფასება ნაწილდება სამ კომპონენტს შორის: შუალედური ანგარიში (25%), კომპანიის მენტორის შეფასება (25%) და საბოლოო ანგარიში (50%). ეს კომბინაცია ითვალისწინებს სამ განსხვავებულ პერსპექტივას — სტუდენტს, მენტორს და კურატორს. 9 სწავლის შედეგი მოიცავს ფართო სპექტრს: მენეჯერული გადაწყვეტილებები, კომუნიკაცია,

[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ციფრული ინსტრუმენტები, დროის მართვა — რაც პრაქტიკული კურსისთვის შესაბამისია. **რეკომენდაცია შესრულებულია**
რჩევა[17]II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• სასწავლო პრაქტიკის სილაბუსი

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები
რეკომენდაცია II	**რეკომენდებულია, პროგრამაში და სილაბუსებში სრულყოფილად და ზუსტად იყოს აღწერილი სწავლების მეთოდები და აქტივობები;**
შეფასება	რეკომენდაცია ორ ნაწილად შეიძლება დაიშალოს: პირველი, მეთოდები სრულყოფილად უნდა იყოს ჩამოთვლილი, და მეორე, ისინი დეტალურად და მკაფიოდ უნდა იყოს აღწერილი. პირველ პირობასთან მიმართებით პროგრამა და სილაბუსების უმეტესობა გარკვეულ პასუხს სცემს — მეთოდები ჩამოთვლილია. მეორე პირობასთან მიმართებით კი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფისთვის ცხადად უფრო მნიშვნელოვანია, პროგრამა და ყველა სილაბუსი სრულიად ვერ პასუხობს. სწავლის მეთოდები საგანამანათლებლო პროგრამაში არ არის ინტეგრირებული, თუმცა უსდ-ს გამოგზავნილი აქვს ცალკე დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მეთოდების ფართო სპექტრს: ტრადიციულიდან (ლექცია-სემინარი, ვერბალური მეთოდი) თანამედროვე მიდგომებამდე (PBL, Action Based Learning, E-learning, სიმულაცია). სულ 20-ზე მეტი მეთოდია ჩამოთვლილი, რაც მრავალფეროვნებას უზრუნველყოფს. თითოეულ მეთოდს თან ახლავს განმარტება, რაც სილაბუსების შემდგენლებს ეხმარება სწორი მეთოდის შერჩევაში. განსაკუთრებით დეტალურია "Learning by Doing"-ის და "Project Based Learning"-ის აღწერა. დოკუმენტი დამტკიცებულია რექტორის საბჭოს მიერ და 2024 წელს განახლდა, რაც მის ინსტიტუციურ ლეგიტიმურობას ადასტურებს. რაც შეეხება სილაბუსებს და პროგრამას, პროგრამის დოკუმენტში შვიდი მეთოდი ჩამოთვლილია სიის

[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	სახით, ყოველგვარი განმარტების გარეშე. არ ჩანს, თუ რომელი მეთოდი რომელ სასწავლო შედეგს ემსახურება, ან სად და რა ფორმით გამოიყენება ეს მეთოდები პროგრამის მასშტაბით. ეს ნუსხა ინფორმაციული არ არის, არამედ ფორმალურია. სილაბუსების დონეზე იგივე მიდგომა მეორდება ზოგიერთ სილაბუსში "Teaching and Learning Methods" სექცია წარმოდგენილია მხოლოდ სახელწოდებების ჩამონათვალის სახით — "Case Study", "Problem-based Learning", "Demonstration method" და ა.შ. — მაგრამ არცერთ სილაბუსში არ არის განმარტებული, თუ კონკრეტულად რას ნიშნავს ეს მეთოდი ამ კურსში, როდის გამოიყენება, რა სასწავლო შედეგის მიღწევას ემსახურება და რა სტუდენტური აქტივობა გამოიხატება მასში. International Business-ის სილაბუსი ყველაზე ნათელ მაგალითს იძლევა ამ მხრივ: კვირების შინაარსში პირდაპირ წერია "Team work on case: Pillaging Patents" და "Case study: Russell Corp", მაგრამ Case Study სწავლების მეთოდთა ნუსხაში საერთოდ არ ჩანს — ანუ პრაქტიკაში გამოიყენება ის, რაც მეთოდად არ არის გამოცხადებული. HRM-ის სილაბუსში კი მე- 5-ის თემაა "Work Samples and Simulations", მაგრამ Simulation სწავლების მეთოდად საერთოდ არ ფიგურირებს. ასეთი შეუსაბამობა გვიჩვენებს, რომ მეთოდების სია ხშირად კურსის რეალურ სასწავლო პრაქტიკასთან არ არის სინქრონიზებული. **რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.**
რჩევაII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა • სასწავლო კურსის სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
რეკომენდაცია II	**რეკომენდებულია, პროგრამების განხორციელებისთვის და განვითარებისთვის განსაზღვრული ხარჯები დაიყოს საჭიროებების მიხედვით;**

შეფასება	უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი სტრუქტურულად 11 კატეგორიად არის დაყოფილი, რომლებიც მოიცავს პროგრამის ძირითად ოპერაციულ მიმართულებებს — პერსონალს, სტუდენტურ მხარდაჭერას, მარკეტინგს, ადმინისტრირებას, პერსონალის განვითარებას, სასწავლო რესურსებს, პრაქტიკულ სწავლებას, კვლევას, პუბლიკაციებს, ხარისხის უზრუნველყოფას და საზოგადოებრივ ჩართულობას. თითოეულ კატეგორიას მინიჭებული აქვს კონკრეტული რიცხვითი მაჩვენებელი და ისინი ერთობლიობაში ასახავს პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებულ ხარჯების სრულ სურათს. ბიუჯეტი ასევე მოიცავს კონტრიბუციული მარჟის და მოგების მაჩვენებლებს, რაც საშუალებას იძლევა ხარჯები შემოსავალთან მიმართებაში იქნას განხილული. • **რეკომენდაცია შესრულებულია.**
რჩევაII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიუჯეტი

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1 შიდა ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია II	**რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამების განვითარების მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პროგრამების "შემოწმების" და "დახვეწის" ეტაპებს;**
შეფასება	უსდ -ს აქვს შემუშავებული დებულება. დებულება ნათლად განასხვავებს შეფასების ორ მიდგომას — პირდაპირსა და არაპირდაპირს — და ორივე მათგანისთვის განსაზღვრავს კონკრეტულ ფორმებსა და პერიოდულობას. პირდაპირი შეფასება ხდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ, არაპირდაპირი კი — სამ წელიწადში ერთხელ, ხოლო ხარისხის სამსახური ამოწმებს ამ პროცესებს შესაბამისად ორ და ოთხ წელიწადში ერთხელ. ეს სტრუქტურა "შემოწმების" ეტაპს გარკვეულ ინსტიტუციურ საფუძველს აძლევს. გარდა ამისა, მე-4 თავის 4.3.3 პუნქტი პირდაპირ ავალებს კომპონენტის კურატორს სწავლების მეთოდების, შინაარსისა და ლიტერატურის

	განახლებას, რაც "დახვეწის" ეტაპის ელემენტია. ასევე, 4.4 პუნქტი ითვალისწინებს განხორციელებული აქტივობების შედეგების ანალიზს ყოველი სემესტრის ბოლოს. **რეკომენდაცია გათვალისწინებულია.**
რჩევაII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• საგანმანათლებლო პროგრამის დებულება

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია II	**რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტები, როგორიცაა კითხვარები, სტუდენტებისგან და დამსაქმებლებისგან უფრო დეტალური უკუკავშირის შეგროვების მიზნით პროგრამების ხელმძღვანელობის ასპექტებთან დაკავშირებით;**
შეფასება	უსდ-მ წარმოადგინა კითხვარები. ოთხივე კითხვარი ერთად წარმოადგენს საკმაოდ ფართო ინსტრუმენებს — მოიცავს ლექტორებს, სტუდენტებს, სტაჟირებას და დამსაქმებლებს, რაც თავისთავად დადებითია. ოთხივე ძირითადი დაინტერესებულ მხარეებს მოიცავს — სტუდენტები, ლექტორები, სტაჟირება და დამსაქმებლები — და თითოეულისთვის ცალკე ინსტრუმენტია შემუშავებული. კითხვარები შერეულ მეთოდოლოგიას იყენებს: დახურული სკალური კითხვები რაოდენობრივი მონაცემებისთვის და ღია კითხვები თვისობრივი უკუკავშირისთვის. სტუდენტების კითხვარი საკმაოდ დეტალურია ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასებაში, შრომის ბაზრის კვლევა კი კომპეტენციებს სიღრმისეულად ეხება. **რეკომენდაცია გათვალისწინებუალია.**
რჩევაII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• კითხვარები

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II	რეკომენდებულია, გადაიხედოს სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა და გათვალისწინებული იყოს საჭირო წინაპირობები;
შეფასება	პროგრამა სტრუქტურულად ლოგიკურად არის აგებული: პირველ სემესტრში ფუნდამენტური საგნებია (ბიზნეს ეთიკა, მენეჯერული ეკონომიკა, ფინანსური აღრიცხვა), შემდეგ ღრმავდება — სტრატეგიული მენეჯმენტი, კვლევის მეთოდები — და მეოთხე სემესტრში სამაგისტრო ნაშრომით სრულდება. ეს ლოგიკა შეესაბამება მარტივიდან რთულისაკენ პროგრესიის პრინციპს. სტაჟირების განთავსება მე-3 სემესტრშია, რაც გამართლებულია, რადგან სტუდენტს უკვე გავლილი აქვს ძირითადი თეორიული კომპონენტები. ამასთან, სტაჟირების სილაბუსში ასახულია 5 წინაპირობა, რაც გარკვეულ სტრუქტურულ ზრუნვაზე მიუთითებს. პროგრამაში წინაპირობების სისტემა არსებობს და ლოგიკურადაც გამოიყურება. სამაგისტრო ნაშრომს ოთხი წინაპირობა აქვს — ბიზნეს სტატისტიკა, სტრატეგიული მენეჯმენტი, ბიზნეს ეთიკა და ბიზნეს კომუნიკაციები — რაც გასაგებია, რადგან ნაშრომის წერა ამ კომპეტენციებს მოითხოვს. ქეისების შესწავლას ოთხი წინაპირობა აქვს — მენეჯერული ეკონომიკა, ფინანსური აღრიცხვა, სტრატეგიული მენეჯმენტი და მარკეტინგის მენეჯმენტი — რაც ინტეგრირებული კურსისთვის ლოგიკური საფუძველია. სტაჟირებასაც შესაბამისი წინაპირობები აქვს მინიჭებული. თუმცა Research Methods კურსი (BUSN0655) საერთოდ არ ჩანს წინაპირობების ცხრილში, მიუხედავად იმისა, რომ ის სამაგისტრო ნაშრომის პირდაპირი წინამორბედი კურსია. ასევე, ისეთი კურსები, როგორიცაა, HR მენეჯმენტი და პროექტების მენეჯმენტი, ცხრილში საერთოდ არ ჩანს, ანუ მათი წინაპირობების სტატუსი გაურკვეველია. • **რეკომენდაცია ნაწილობრივ გათვალისწინებულია.**
რჩევაII	

შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა • წინაპირობების მატრიცა

სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II	**რეკომენდებულია, შევიდეს ცვლილებები რეგულაციებში, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილი იყოს როგორც ინდივიდუალური შეფასების კომპონენტი;**
შეფასება	დოკუმენტების ანალიზისა გამოვლინდა შემდეგი გარემოება. ინდივიდუალურობის შესახებ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ჩანაწერი: **ერთი მხრივ** — სილაბუსი პირდაპირ აცხადებს: *"სამაგისტრო ნაშრომი სრულდება სამ ეტაპად... სამაგისტრო ნაშრომის შესრულება* ***ფასდება ინდივიდუალურად****" (გვ 3)* ეს ჩანაწერი შეიძლება ჩაითვალოს იმის მითითებად, რომ ნაშრომი ინდივიდუალური კომპონენტია. **მეორე მხრივ** — იმავე სილაბუსში წერია: *"სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკული ღირებულების მქონე ნაშრომს/პროექტს, რომელზეც სტუდენტი მუშაობს მთელი სემესტრის განმავლობაში* ***ჯგუფურად****"* ეს ორი ჩანაწერი პირდაპირ ეწინააღმდეგება ერთმანეთს — ნაშრომი ერთდროულად **"ჯგუფური"** სამუშაოა და **"ინდივიდუალურად ფასდება"**. ეს ბუნდოვანება: • სტუდენტისთვის გაუგებარს ხდის ფორმატს • ართულებს სამართლიან შეფასებას • ეწინააღმდეგება სამაგისტრო ნაშრომის, როგორც **საკვალიფიკაციო** ნაშრომის, სტანდარტულ გაგებას **რეკომენდაცია ნაწილობრივ გათვალისწინებული**
რჩევაII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი

სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II	**რეკომენდებულია სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამაში უზრუნველყოფილ იქნას კვლევის მეთოდების სავალდებულო სწავლა.**
შეფასება	**რეკომენდაცია გათვალისწინებულია,** ვინაიდან სამაგისტრო პროგრამის ძირითად ბლოკში ფიქსირდება სასწავლო კურსი კვლევის მეთოდები.
რჩევაII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

თანდართული დოკუმენტაცია[18]

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა
- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი
- კითხვარები
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება
- ბიუჯეტი
- სასწავლო კურსის სილაბუსები
- სასწავლო პრაქტიკის სილაბუსი
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკის შედგენის სახელმძღვანელო ბზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლისათვის.

ექსპერტის ხელმოწერა

[18]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა